საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გზირიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე

გზირიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე [26. I (8. II). 1902, სოფ. ვაქირი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპ-ი, – 14. IX. 1972, თბილისი], ქირურგ-ურროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962).

1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1939–41 და 1946–72 განაგებდა საქართვ. ცენტრ. კლინიკური საავადმყოფოს ურროლოგიის განყ-ბას. 1941–46 მუშაობდა ერთ-ერთი საევაკუაციო ჰოსპიტალის მთავარ ქირურგად. 1966–72 იყო ურროლოგთა რესპ. სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. ურროლოგიაში შემოიღო კვლევის ელექტროფიზიოლ. მეთოდი, თირკმლის ფუნქციის შესასწავლად გამოიყენა იზოტოპები, სრულყო ზოგიერთი ურროლოგიური ქირურგ. ოპერაცია. მისი შრომები ეძღვნება თირკმლის კენჭოვანი დაავადების, საშარდე გზების ტუბერკულოზის, თირკმლის გადანერგვისა და სხვა საკითხებს. მისი სახელობისაა სიღნაღის მუნიციპ-ის ცენტრ. საავადმყოფო.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შარდ-სასქესო ორგანოების სიმსივნეები, თბ., 1958 (ყდაზე: 1959).

ლიტ.: ო ჩ ი გ ა ვ ა თ., ალექსანდრე გზირიშვილი, თბ., 1973.